

# ლიცენიოსტულო საშური




საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება  
№4, 29 აპრილი, ორშაბათი, 2024 წელი

## 35 წელი გასულა...

### აჩხილი ვაზის ტირილი

ვარ საქართველო, – თვალეში მიმზერს მკვლელი,  
ჭეშმარიტება! – აი ნუგეში სულის,  
მანამდე... ბნელეთს ანათებს მხოლოდ ცრემლი!  
მანამდე... მნათობს ახშობს ნაღველი სრული!  
სხეული უკვე აღარ ესწრაფვის სხივებს  
და უმწეობა ისე კვნესის და გმინავს, –  
მას სიამაყე თუ დაამშვიდებს ისევ,  
წმინდაო ნინო, რა მგლოვიარედ ბრწყინავ!  
აი, სიმკაცრე, აი, წამების ბოლო,  
ურცხვთა ზეიმი, ოცნებისათვის ჯვარცმა...  
სიმაღლე ჩვენი... დამარცხებაა მხოლოდ?  
მზის ჩასვლა როგორ, როგორ ინატროს კაცმა!  
ვარ საქართველო... მარად სამიზნე გული,  
ვით მზეთუნახავს, კვლავ ცხრაკლიტულში მსვამენ...  
ცისფერ მინდორზე გუთნით გავლებულ ხნულებს  
ტანკით თელავენ, სისხლს არაყივით სვამენ!  
ვარ საქართველო – გულდაფლეთილი თქვენთვის,  
ვარ სალოცავი, წმინდა ხატების დედა,  
ვარ გაყიდული მათგან, მაღალი ღმერთი  
ვინც დაივიწყა და კვლავ სიცრუეს ბედავს!  
აპრილის მზეო, ამოანათე ცრემლი,  
მაღამოდ ექეც უკიდევანო ნაღველს,  
ამ გაზაფხულზე უღვთო ჯალათთა ხელით  
მოდ, აჩხილ ვაზის ტირილი ნახე!

1989  
წლის



მზია ხეთაყური

# შეხვედრა მსახიობთან

## „მოხუცებული ბიჭის“ უკვდავი ხელოვნება

„ტაძარში მსახიობი შემოდის და თვალშისაცემად მაღალი, მოკრძალებით მოხრილი მხრებით საკურთხეველთან დგება... ერთმანეთთან მიწყობილი თითები სახესთან მიუტანია.

თრთიან თითები... ხელოვანის გრძელი და გამხდარი ხელი უფლისადმი უხმო ვედრებას გამოხატავს. ტკივილში განზავებული რწმენა ჩაბუდებულია მაღლით მიპყრობილ თვალის გუგებში.

მურმან ჯინორია ყველაზე ნამდვილ როლს ასრულებდა იმ წუთებში... ნამიერმა ჩურჩულმა გადაურბინა ბაგეებს... მსახიობი მძიმედ შემობრუნდა და ნელი ნაბიჯებით გაუყვა ქვის ფილაქანს...

რალაც მინდოდა მეტყვა, – ვერ გავბედე... ტაძარმა შემაჩერა და მისმა ფიქრებში ჩაძირულმა მზერამ.“

1996 წლის ამ ჩანაწერს ჩემს ძველ დღიურში მივაგენი. რამდენიმე წლის შემდეგ კი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ უნივერსიტეტში მურმან ჯინორიას ლექციებზე თავისუფალ მსმენელად აღმოვჩნდები. ლექსის არსსა და აღქმაზე ესაუბრებოდა სტუდენტებს. სმენასა და გონებაში პლანეტებივით მოძრაობდნენ ბარათაშვილის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონის სტრიქონები. მისი ნაკითხული ლექსის მოსასმენად მივედი და ლექსმცოდნეობის ლექცია „შემრჩა“ ხელში. მონუსხულივით ვისმენდი და, როდესაც მოულოდნელად მკითხა: თქვენთვის რა არის ლექსი? – პასუხი ვერ მოვძებნე, თითქოს ჩემთვის რალაც უცხო მკითხებოდა.

... 26 მარტს ხაშურის სამუსიკო სკოლის სცენიდანაც ისე საუბრობდა, როგორც მაშინ, წლების წინ, ლექციაზე. სცენაზე მისთვის საგანგებოდ დადგმულ მაგიდასთან სავარძელში ისე იჯდა, თითქოს მის ირგვლივ თანამეინახე პოეტების სულები შეკრებილიყვნენ, და მათთან ერთად, უჩვეულო სამყაროში გადაჰყავდა მსმენელი. მსმენელს კი, განურჩევლად ასაკისა და პროფესიისა, ხელოვნების შეუცნობელი სამყაროსადმი სწრაფვა აერთიანებს, იმის მიუხედავად, ბოლომდე წვდება თუ არა მის არსს.

ახლაც პლანეტებივით მოძრაობდნენ ლექსისკაცების დაუვინყარი სტრიქონები...

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“ – როგორი სისადავით ხატავს ტერენტი გრანელი გაზაფხულის საღამოს. ეს ასოციაციური პოეზიაა. არსებობს ინტეგრალური პოეზიაც – ეს მხოლოდ გალაკტიონია (რომელიც შეჭამეს იმდროინდელმა პოეტებმა), სადაც სიტყვათა თანმიმდევრობა ზოგჯერ გრამატიკულად არ არის სწორი, მაგრამ ჩვენ უღრმესად და უსწორესად ვიგებთ:

„ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი“... და შენც მარტში ხარ იმწამსვე, სხვადასხვა ამბიდან ერთი მთლიანი იკვრება.

„ნაძვებს სუნი ედება, როგორც ნაზი ტკივილი“ და არა სურნელი, როგორც ველოდებით...

„დალაღვით ხეზე მიწოლილა მოხუცი რაში“ და არა ქალი ან კაცი, როგორც ველოდებით...

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეები“... – აბა წარმოვიდგინოთ, უფოთლო ტყეში, ღამით, ხეები თუ არ ჰგვანან ჩონჩხებს...

გალაკტიონი სიმბოლისტიც არის, იმპრესიონისტიც, მოდერნისტიც და სიურეალისტიც“. – არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი ლექციაა, უნივერსიტეტის აუდიტორიის გარეთ.

დროდადრო კორიფე კოლეგებთან გატარებულ დროს იხსენებს მათივე ხმით და პატარა ბიჭივით ანცობს რვა ათეულ წელს მიტანებული არტისტი:

„ეროსი მანჯგალაძე ძლიერ განიცდიდა სიკვდილს. თუ მის კორპუსში ვინმე გარდაიცვლებოდა, სახლში არ ჩერდებოდა, სასტუმროში ათენებდა. ერთხელაც თეატრში მოვიდა ძალიან „ფინთ“ განწყობაზე. რამაზ ჩხიკვაძე მაშინვე მიუხვდა მიზეზს:

- ერიკ, (ასე მიმართავდა ეროსი მანჯგალაძეს) რა დაგემართა?
- კაცო, ლაზარე დამესიზმრა, რა უნდოდა ნეტავ?
- ლაზარე, ან უკვე გარდაცვლილი, უფროსი თაობის ახმეტელის დროინდელი მსახიობი იყო, რომელთანაც მეგობრობდნენ ახალგაზრდა მსახიობები. რამაზი უცებ ეუბნება ეროსი მანჯგალაძეს:
- აი, მეც დამესიზმრა ლაზარე.
- ეროსის სახე გაუნათდა, იფიქრა, უბედურება გაიფანტება, მარტო მე არ დამსიზმრებიაო.
- როგორ დაგესიზმრაო? – ჰკითხა რამაზს.
- როგორ, კაცო და, ვზივარ სახლში ფანჯარასთან და ვიყურები, ვხედავ, ლაზარე მიდის ქუჩაში. გადავძახე: ლაზარე, კაი მოხარშული დედალი მაქვს, კაი მჭადი, კაი ყველი, კაი მწნილი, კაი ღვინო. ამოდი, დავლიოთ თითო ჭიქა-მეთქი. ლაზარემ ამომძახა: ეროსისთან მივდივარ, შენთვის არა მცალიაო.
- რა ოხერიც იყავი, ის ოხერი დარჩი! – მიაძახა ნირნამხდარმა ეროსი მანჯგალაძემ.
- ერთ დღეს შოთა ნიშნიანიძე მირეკავს: კაცო, ჩანაწერი მოვისმინე, ჩემი ლექსი „ჩქარი მატარებელი“ რომ წაგიკითხავსო.



- დიას, ბატონო შოთა, – ცოტა შევშფოთდი, ავტორი გირეკავს და...
- ჰოდა, გადმოვიღე ჩემი კრებული და წავიკითხე ეს ლექსი, – რა კარგი ლექსი დამინერია! – ლექსის ავტორისგან ამაზე მეტი შექება რა უნდა იყოს მსახიობისთვის, ვინც მის ლექსს კითხულობს“.
- და რომ არ გიყვარდეს, შეიყვარებ რუსთაველს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ტიცინანს, ლაღოს, მუხრანს... უსმენ და არ გინდა, დასრულდეს პოეტური ინტეგრალის საოცარი გრადაციები. არადა, უკვე დაღლილია წელთა სიმრავლით დამძიმებული და მაინც ბუნების კანონებთან შინაგანი სიმტკიცით შერკინებული ხელოვანი, გულის გულსა და გონების ხვეულებში ერთდროულად მერამდენედ გამოვლილი ემოციებით...
- რატომღაც ქვიშხეთელი პოეტისა და მხატვრის ალექო ლონდაძის ეს სტრიქონები გამახსენდა:
- „... და გასაფრენად მზად ხარ მოხუცებული ბიჭი...“
- „იქ“ გასაფრენად ჯერ ადრეა! ჯერ „აქ“ იფრინეთ და გვაფრინეთ, ბატონო მურმან.

ეკა ბაქრაძე



# ივანე ხათუნი



## „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...“

წლები მიილია, თითქოს ბევრი რამ წელთა სრბოლას უნდა გაჰყოლოდა, ასეც არის, ალბათ... მაგრამ არის რაღაც, რასაც ვერ ივინყებ და მეხსიერების მიღმა ვერ ტოვებ, ვერ ელევით... ჩემთვის ასეთი ბავშვობა და ყმანვილკაცობაა, იმ დროს მიღებული შთაბეჭდილებებია, რომელიც არ მშორდება, დასავინყებლად ვერ ვიმეტებ და ყოველთვის თავს მახსენებენ. მითუმეტეს, თუ ამ შთაბეჭდილებებმა გავლენა იქონია შენს მომავალზე და განსაზღვრა შენი ადგილი საზოგადოებაში.

ასეთი განმსაზღვრელი როლი ჩემს ცხოვრებაში წიგნმა შეასრულა, ხოლო ის, ვინც მისი სიყვარული მასწავლა, განუმეორებელი დავით კაკიაშვილი, ჩემი ქართულის მასწავლებელია, რომლის დამოკიდებულებამ წიგნისადმი მის ბევრ მოსწავლეს შეაყვარა წიგნი – ცხოვრების დიდი მეგზური.

მახსოვს, როცა რუსთაველზე და მის უკვდავ პოემაზე საუბრობდა, უცბად წამოენთებოდა და იტყოდა – შემირცხვენია ის ოჯახი, სადაც რუსთაველის წიგნი არ არისო. ისეთი მკაცრი იყო ამის თქმისას, რომ სახლში მობრუნებული, მერამდენედ ვეძებდი ჩემს ძალზე მოკრძალებულ ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსანს“ და როცა ვიპოვნიდი, მიხაროდა, ოჯახი სირცხვილს გადავარჩინე-მეთქი...

ყმანვილკაცობისას, სტუდენტობას რომ ვინყებდი, ჩემს მასწავლებელს შინ ვესტუმრე წიგნებისთვის და საოცარ გარემოში აღმოვჩნდი – ერთი ოთახი, ერთმანეთზე მიდგმული თაროებით ჭერამდე სულ წიგნებით იყო სავსე. რას არ ნახავდი აქ, საკმაოდ ძველს თუ ახალ გამოცემებს, ქართველი კლასიკოსების ტომეულებს. ცალკე თაროები უფრონალ-გაზეთებს ეჭირა. რომ იტყვიან, ჩავიძირე რაღაც საოცარ, ენით გამოუთქმელ სამყაროში... ასეთი რამ მანამდე არსად მენახა. როცა გამოვფხიზლდი, ვიგრძენი, რომ ავადმყოფობა შემყროდა. მერე მივხვდი – ამ ავადმყოფობას წიგნის სიყვარული ერქვა, დღემდე რომ მჭირს და თავს არ მანებებს...

ომიდან ახლადდემობილიზებული დავით კაკიაშვილი 1943 წლის 1 მარტიდან დაინიშნა ხაშურის მეორე სკოლის დირექტორად, სადაც 1976 წლამდე იმუშავა და დიდი ამაგიც დასდო სკოლას. განსაკუთრებით გამოირჩევა სკოლის ეს პერიოდი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოხდა ქალის ძველი სკოლის ბაზაზე, სრულიად ახალი სასწავლო დაწესებულების ფორმირება და ჩამოყალიბება. სკოლამ მიიღო მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური სახე, რაც წლების შემდეგ გამოვლინდა სახელწოდებაშიც – „კაკიაშვილის სკოლა“. ასე მოიხსენიებენ დღესაც.

დავით კაკიაშვილი გამოირჩეოდა ღრმა ერუდიციით. იგი საოცარ სიტბოსა და სიყვარულს იჩენდა მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართ. მისი ერთადერთი ზრუნვის საგანი მხოლოდ და მხოლოდ სკოლა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სასწავლო-აღმზრდელი პროცესის სრულყოფა და ამაღლება იყო. შედეგად ყოველთვის თვალსაჩინო იყო, მისი სკოლაში მოღვაწეობის თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე. ორჯერ აღინიშნა სკოლის საიუბილეო თარიღი, 1981 წელს 100 და 2001 წელს 120 წელი. ორივეჯერ აქტიურად ვიყავი ჩართული აღნიშნულ საიუბილეო სამუშაოებში, მცირე ტირაჟით წიგნიც მოვამზადე, რომელშიც სკოლის არაერთი კურსდამთავრებულის მოგონებებია დაბეჭდილი. აკადემიკოსი გურამ ძანაშვილი დიდი სიყვარულით იხსენებს დავით კაკიაშვილს:

„1944-45 სასწავლო წელს ხაშურის ვაჟთა I საშუალო სკოლაში შევხვდი. მანამდე ქალაქის I საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, რომელიც ამავე წლიდან ქალთა I საშუალო სკოლად გადაკეთდა. ვაჟთა სკოლის დირექტორი იყო სამამულო ომის მონაწილე დავით კაკიაშვილი. ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა. ის კარგი ორგანიზატორი იყო. ვაჟთა სკოლაში მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა მასწავლებელთა ძლიერმა კოლექტივმა დიდი როლი ითამაშა ჩვენი და შემდგომი თაობების მოსწავლეთა აღზრდაში. ჩემს მეხსიერებას შემორჩა ამ მასწავლებელთა სახელები. მათი დამსახურება იყო, რომ ჩვენმა სკოლამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა 40-50-იან წლებში არა მარტო ხაშურში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მას „გეპეის“ ფილიალსაც უწოდებდნენ, რადგან კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სწორედ ამ სასწავლებელში აგრძელებდა სწავლას. სკოლის ავტორიტეტის ამაღლებაში დიდი როლი ითამაშა დავით კაკიაშვილის რკინის დისციპლინამ. 1950 წელს ოქროს მედლით დავამთავრე ჩვენი სახელგანთქმული სკოლა. იმ წელს 24 კურსდამთავრებულიდან 23-მა მიიღო უმაღლესი განათლება.“

დ. კაკიაშვილის კიდევ ერთი ნამონაფარი **რობერტ სუხიაშვილი** იხსენებს:

„მთელი ჩემი მოსწავლეობის პერიოდში სკოლის დირექტორი იყო დიდებული პიროვნება, შესანიშნავი პედაგოგი, განუმეორებელი ორგანიზატორი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი (მან ფრონტზე მარჯვენა ხელი დაკარგა) დავით ვასილის ძე კაკიაშვილი. კაცი, რომელიც უსაზღვროდ შეყვარებული იყო სკოლასა და ბავშვებზე. ძალიან ემოციური პიროვნება ბრძანდებოდა ბატონი დავითი, ყველაფერი გულთან მიჰქონდა – პატარა ახარება, პატარა წყინდა. ვერ იტანდა უზრდელსა და ზარმაცს, ლაზღანდარა და ქლესა კაცს, ვინც უნდა ყოფილიყო – მოსწავლე თუ მასწავლებელი. ამიტომ, ზოგჯერ კონფლიქტებიც ჰქონდა ხოლმე

მასწავლებლებთან, მაგრამ, რომ იტყვიან „ბუზი ყველა ბუზის, ფუტკართან ყველა ტყუისო“. იგი მართალი კაცი იყო... ბატონ დავითს ვუყვარდი და ახლოს ვყავდი, რადგან ზედმინევიანი კარგად ვსწავლობდი მის საგანს – ქართულ ენასა და ლიტერატურას“.

საინტერესოდ იხსენებს ვაჟთა სკოლაში გატარებულ მოსწავლეობის წლებს აგრარული უნივერსიტეტის პედაგოგი **იური კაკიაშვილი**:

„მაშინდელი პირველი ვაჟთა სკოლის კარი 1946 წელს შევადე. ჩემი პირველი მასწავლებელი უმაღლესორდენოსანი ანა აბრამაშვილი გახლდათ. მაშინ უმაღლესორდენოსანი მასწავლებელი რესპუბლიკაშიც დიდი იშვიათობა იყო. დედასავით გვეპყრობოდა. ვერ ვიტყვი, წერა-კითხვა მასწავლა-მეთქი, რადგან უკვე კარგად ვიცოდი, მაგრამ, თავისდაუნებურად, ჩემში პიროვნება გააღვიძა. გაკვეთილზე მოუმზადებლად მისვლა დიდ დანაშაულად ითვლებოდა, დაგვიანებაც. მახსოვს, ბიჭები მტკვარგალმა სოფლიდანაც (შვლისყურიდან) დადიოდნენ. მათაც არ ეპატიებოდათ დაგვიანება. დასვენებაზე კლასი კლასს ეჭიდებოდა. არ გვიშლიდნენ, ენერგია ხომ უნდა დაგვეხარჯა! გაკვეთილების შემდეგ, ყოფილი „დიდი ბაზრის“ ტერიტორიაზე ყოჩი ბიჭების მუშტი-კრივი იმართებოდა – ლიდერი ხომ უნდა გამოგვევლინა! მისაბაძ უფროსკლასელებს შორის თამაზ ებანოძე იყო პირველი.“

საუკეთესო მასწავლებლები გვყავდა. ჩვენი სკოლის დაბალი აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულებიც კი, უპრობლემოდ აბარებდნენ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში. მახსენდება მკაცრი (ხანდახან ბრაზიანიც) ელენე ბოლოკაძე; აუღელვებელი ცინიკოსი ივანე ლომსაძე; არტისტული ვანო ბერუცი, – მაგალითს ან ამოცანას რომ ამოხსნიდა დაფაზე და ჩვენკენ შემობრუნდებოდა, თვალები სიხარულისაგან უბრწყინავდა. ამით ჩვენც გვენუსხავდა და გამარჯვების გემოს გვასწავლიდა. მასწავლებელი ლეგენდა – ამბერკი ებანოძე; ცოლ-ქმარი გელაშვილები; ბიჭების მომთვინიერებელი და მესაიდუმლე მიხეილ (მიშა) რევაზიშვილი; ახალგაზრდა მაცვალა კეშელავა; ქალბატონი ვალია ნეროდენკო, რომელიც რუსულს გვასწავლიდა. ახლაც სასიამოვნოდ ჩამესმის ყურში უკრაინული აქცენტით შეზავებული მისი დახვეწილი ქართული. დიდი კვალი დატოვა ჩემში ქალბატონმა ყენია ტაბუცაძემ, რომლისგანაც შევიგრძენი ქართული სიტყვის ძალა და ბუნება, თუმცა, სამაგალითო მექართულენი არც სახლში მაკლდა. ჩემთვის იგი ყოველთვის იყო და დარჩება მასწავლებლის კლასიკურ განსახიერებად. დისტანცია, რომელიც მას ჩვენთან ურთიერთობაში ეჭირა, იყო ზომიერი და გადაულახავი.

ერთხელ მოხდა საოცრება (ჩემთვის), ყენია მასწავლებელმა მთხოვა, რვეულები წამაღებინო. ეს იყო მისგან დიდი ნდობა და ნაბიჯი ადამიანურ ურთიერთობაში. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორც სურათი: შემოდგომის წვიმიანი ამინდი, ერთ ქოლგის ქვეშ შეყუყული მასწავლებელი და მოსწავლე მიაბიჯებენ რუსთაველის ქუჩაზე. მღელვარებისა და სიამაყის გრძნობით ვიყავი შეპყრობილი. აღმოვაჩინე, ყენია მასწავლებელიც თურმე, ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა.

ჩემი ცხოვრება ისე აენყო, რომ სრულიად ახალგაზრდამ, ოცდაექვსი წლის ასაკში შევადე უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიის კარი, როგორც ლექტორმა, სადაც ჩემი მასწავლებლებისგან მიღებული ცოდნა გამომადგა. მე ვიცნობდი ორ დავით კაკიაშვილს, ერთი სკოლის დირექტორი იყო, მეორე – ჩემი ალალი ბიძა. პირველი იყო მკაცრი და მრისხანეც კი (აბა ვაჟთა სკოლის დირექტორი, ომგამოვლილი ოფიცერი როგორი უნდა ყოფილიყო?). მეორე – საოცრად გულთბილი და მოსიყვარულე. ახლაც მიჭირს თქმა, რომელს უფრო დიდი ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში. დღეს ჩვენი სკოლა დ. კაკიაშვილის სახელობისაა. თუმცა, ხალხმა ადრევე დაარქვა მას „დავით კაკიაშვილის სკოლა“.

ასეთი საოცარი სიტბო და სიყვარული ჩანს მეორე სკოლის კურსდამთავრებულთა მოგონებებში დავით კაკიაშვილის მიმართ.

და ახლა, როცა ნახევარი საუკუნე მაშორებს სკოლის კედლებს, მეც სიყვარულითა და კრძალვით ვიგონებ დავით კაკიაშვილს, რომელმაც შეძლო ჩვენი სულების წერთნა, გვაზიარა სიკეთეს, სიყვარულს. პედაგოგი, რომელსაც თავისი ნამონაფრის ნარმატება ისე უხაროდა, რომ თვალები ცრემლით ავესებოდა ხოლმე. მისი თვალები ბრწყინვალეობას იძენდა ამ დროს. მეამაყება, რომ მისი სახელის სკოლისათვის მისანიჭებლად თავის დროზე პროექტი მე მოვამზადე და ამით თითქოს, ვალი მოვიხადე...

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის...“ ამიტომაც არის, რომ დავით კაკიაშვილის სახელი საშვილიშვილოდ გადაეცა შთამომავლობას...

მასწავლებლის უკვდავებაც ხომ სწორედ ეს არის!..

თამაზ ლაცაბიძე – ხაშურის  
სამუზეუმო გაერთიანების მმართველი



### ო. ენაჲ ჩემო...

#### ღვთისკურთხეული ენა ქართული

14 აპრილი დედაენის დღეა...

„პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო „ღმერთი“. ღმერთმა ადამიანი ხატად თვისად გააჩინა, მისცა მეტყველების უნარი და მას შემდეგ სხვადასხვა ტომის შვილები სხვადასხვაგვარად ასხამენ ხობტას საკუთარ ენას, მაგრამ ისეთი ჰიმნები და ოდები, რაც ჩვენს მშობლიურ ენას ეძღვნება, ვეჭვობ, სხვა ენებს რგებოდა წილად.

ქართველთა უმნიშვნელოვანეს საუნჯეებს – მამულს, ენას და სარწმუნოებას მუდამ აურაცხელი მტერი ჰყავდა. არაერთხელ მდგარა ქართული ენა საშიშროების წინაშე, არაერთხელ დამცირებულა, მაგრამ არასოდეს წამხდარა...

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ – და გაფრთხილება ყველა ქართველს ეხება, თითოეული ჩვენგანს გვეხება და შეგვახსენებს, რომ მოვლა-პატრონობა სჭირდება იმ ენას, რომლითაც „ღმერთთან ლაპარაკობდნენ“ ჩვენი ერის ღირსეული მამები და რომლითაც თვით უფალი მეორედ მოსვლის ჟამს განიკითხავს მსოფლიოს.

ღიას, საქართველოს მთებში გაჩენილ, „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“ გადარჩენა სჭირდება. საზოგადოებაში ნიაღვრებად წამოსულ ავსტიყვაობას შეკავება და განმენდა სჭირდება, სიტყვის განმენდას და სისუფთავს – წმინდა და ფაქიზი სული, სულის სიფაქიზეს კი ღმერთთან სიახლოვე და სიყვარული ბადებს, რადგან „ღმერთი თავად სიყვარულია“.

მამ, გაუფრთხილდეთ ჩვენს ღვთისკურთხეულ ენას, რათა კიდევ უფო მეტად არ გაჭუჭყიანდეს, არ გაღარბდეს, არ შემოიძარცვოს, არ დაიშრიტოს... ამ ჩვენს გატიალებულ ყოფაში სიტყვებმაც თითქოს თავისი ნიშანი დაკარგა და ამას არ უნდა შევეგუოთ, პირიქით, უნდა გავამდიდროთ, ელვარება დაეუბრუნოთ გაცვეთილ ფრაზებს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვოთ და ავაბრიალოთ ჩვენი გაციებული გულების გასათბობად.

გილოცავთ და გლოცავთ ყველას, ვინც დედაენით არის გაზრდილი და ვინც სამყაროს კარს მომავალში „აიითი“ შეაღებს.

მაყვალა ხაჩიძე

#### ანბანთქება

ანბანი, ერის ძეგლი, დიდება,  
ბურჯი, საუნჯე, ენა წკრიალა.  
განძი ურიცხვი, აუნონავი,  
დედის გულივით სუფთა, კრიალა,  
ერის სიმდიდრე და სიამაყე,  
ვაზის სურნელით გაჯერებული,  
ზენაარისგან მადლით ცხებული,  
თვის სიცოცხლეში დაჯერებული.  
ია აი და აი თითო,  
კალმით ვინ წეროს მისი დიდება,  
ლაზარეს ენა მარადიული,  
მისით სიცოცხლე ამობრწყინდება.  
წურვინ ეცდება, გადაგვაზინყოს,  
ომით დაწურეთ ძალა მკლავებში,  
პირველობასაც არასდროს დავეთმობთ,  
წრუანტელად რომ გვივლის ძარღვებში.  
რანი ვიყავით? რანი ვიქნებით?  
საიდან მოველთ ან კი, ვინა ვართ?  
ტაძრის კედლები სხივმადლიანნი,  
უფლის სიტყვები ნეტავ ვინა თქვა?!  
ფიქრობს უფალი და გულით გვლოცავს,  
ქებათა-ქება ისმის ამიერ,  
ღმერთო, დალოცე ჩვენი საწყისი,  
ყველგან ისმოდეს მრავალჟამიერ!  
შაშვი გალობს და სიტკბოდ იღვრება,  
ჩიტი-ჩიორაც რთვა-შრომაშია,  
ცოდნის კარები ფართოდ იღება,  
ძალა მომავლის გონებაშია.  
წიგნებითა და ისევ წიგნებით,  
ჭკუა, სინდისი გაუთელელი,  
ხარევით შემძლე და უღალატო,  
ჯანმბგარი და გაუტყუელი!  
ჰეი... „ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!“

იზოლდა ჭიპაშვილი



### შეხვედრა ჰოცეთის

2024 წლის 11 აპრილს, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ მინისტრის ფილიალში შეხვედრა მოუწყო თანამოქალაქე პოეტს, მიხეილ თუმანიშვილს. საღამოს 17-ს კლარა გელაშვილი უძღვებოდა.

მიხეილ თუმანიშვილი დაიბადა და გაიზარდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში. პროფესიით ბიოლოგია. ბავშვობიდანვე, განსაკუთრებით კი სტუდენტობის წლებში, გამოირჩეოდა თავისუფალი, კრიტიკული აზროვნებითა და სიღრმისეული ანალიზის უნარით, რაც მის ფილოსოფიური ხასიათის ლექსებშიც იკითხება.

მისი შემოქმედება მოთავსებულია ჯგუფი „ზღვარისა“ და „ტრიოლეტის“ მიერ გამოცემულ საერთო კრებულებში. იბეჭდებოდა პრესაში...

„მიმას პოეტური ტექნიკა მაღალია, იგი ახერხებს პოეზია-მუსიკა-ფილოსოფიის შეზავებას, რადგანაც თვითონ არის პოეტური, ფილოსოფიურიც. მუსიკის ასოციაციას ინვევს რითმა-რიტმის მისეული დაუფლება. მაღალია მისი საშემსრულებლო ტექნიკა ლექსში.

გასაოცარია მიმას პოეზიის თემათა სიუხვე, მათი პოეტური წვდომა-ანალიზი. გასაოცარია სიმკვეთრეც და ბუნდოვანებაც. ავტორმა სწორად იცის, რომ პოეზია, არ შეიძლება, ყოველთვის გახსნილი იყოს, რათა არ დაკარგოს მისთვის ჩვეული იდუმალეობა.“ – წერს მიხეილ თუმანიშვილის პოეტური კრებულის „სულო ილოცე“ წინასიტყვაობაში პოეტი სერგი ლომაძე.

ხაშურის N1; N3; N5 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ნაიკითხეს პოეტის ლექსები მისი პოეტური კრებულიდან. საღამოს განსაკუთრებული ელფერი შესძინა სურამისა და ქვიშხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეების ხალხურ საკრავთა ფოლკლორულმა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ხათუნა კასრაძე).

პოეტის მამობის „მძიმე“ ტვირთზე ისაუბრა მისმა მამამ, არაერთი ლექსის ავტორმა, პედაგოგმა ნუგზარ თუმანიშვილმა.

საღამოს დასასრულს ავტორმა ნაიკითხა რამდენიმე ლექსი კრებულიდან.



ნუგზარი ვისციენიძე ბაქრაძე